საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის
3 იანვრის #2-3 ბრძანებით შექმნილი კომისიის
სხდომის ოქმი #1

ქ. თბილისი 2018 წლის „ 30 “ ივლისი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი ხანიშვილი	მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
იური ნოზაძე	მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
ზურაბ გარაყანიძე	ადმინისტრაციული დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
თამარ ზედგინიძე	საფინანსო დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
გივი მერაბიშვილი	იურიდიული დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
ხათუნა ჩიქოვანი	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (შესყიდვების სამმართველო), კომისიის წევრი.

კომისიის აპარატის წევრი:

მარიამ სამხარაძე	შესყიდვების სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;

სხდომას არ ესწრებოდნენ: *კომისიის წევრი ს. პავლიაშვილი და კომისიის აპარატის წევრები - ეთერ ყიზილაშვილი და დავით თეთრაშვილი.*

<u>დღის წესრიგი:</u>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის ფარგლებში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სხვადასხვა სახის კომპიუტერული აქსესუარების (CPV კოდი: 30230000) შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო პირობების განხილვა-დამტკიცება.

<u>მოისმინეს:</u>

კომისიის აპარატის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N604 დადგენილების მოთხოვნათა გათვალისწინებით, გატარდა შესაბამისი პროცედურები, რის შედეგადაც საქართველოს მთავრობისგან მიღებულია წინასწარი თანხმობა

ზემოაღნიშნული CPV კოდის ფარგლებში შესყიდვის განხორციელების თაობაზე („საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულება N982, 04.05.2018წ.). ასევე, ინფორმაცია შესყიდვის ობიექტის რაოდენობისა და მახასიათებლების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბდა თანდართულ სატენდერო პირობებში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ განხორციელებული ფასთა კვლევის საფუძველზე შესყიდვის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 19,800.00 ლარი.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის #12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული შესყიდვის საშუალებად განისაზღვრა ელექტრონული ტენდერი (SPA).

კომისიის წევრებმა განიხილეს სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადება და პირობები, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:
ტენდერის გამოცხადების თარიღი: „ 30 “ ივლისი, 2018 წელი.
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: 19,800.00 ლარი
სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს: დღგ-ს გათვალისწინებით
შესყიდვის დანაყოფი: 30200000
კლასიფიკატორის (CPV) კოდი: 30230000
დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სხვადასხვა სახის კომპიუტერული აქსესუარების (CPV კოდი: 30230000) შესყიდვა
შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა: იხ. სატენდერო პირობები.
მოწოდების ვადა: ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღე.
შეთავაზების ფასის კლების ბიჯი: შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%.
გარანტიის ოდენობა: შესყიდვის სავარაუდო ღირებულების 1%.
კომისიამ არ მიიჩნია საჭიროდ დაედგინა საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის სხვადასხვა სახის კომპიუტერული აქსესუარების (CPV კოდი: 30230000) შესყიდვის მიზნით განსახორციელებელი ელექტრონული ტენდერის საერთო სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 19,800.00 ლარი, ხოლო შესყიდვის საშუალებად „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, განისაზღვროს ელექტრონული ტენდერი (SPA);

- დამტკიცდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადება და თანდართული სატენდერო პირობები კომისიის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად;
- განთავსდეს ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო განცხადება დადგენილი წესით.

კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხანიშვილი

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: იური ნოზაძე

კომისიის წევრები: სოლომონ პავლიაშვილი

ზურაბ გარაყანიძე

თამარ ზედგინიძე

გივი მერაბიშვილი

ხათუნა ჩიქოვანი

სხდომის მდივანი მარიამ სამხარაძე